საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-03/2121
28/02/2019

2121-2-03-2-201902281147

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2019 წლის 13 თებერვლის №6/8869 წერილი, რომელიც შეეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია) - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კმ9-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან 7 მეტრის ფარგლებს გარეთ არსებული 73500 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №30.03.31.031) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობ(ებ)ის (ღობე და სხვა) განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №30.03.31.031) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობ(ებ)ის (ღობე და სხვა) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე